

კვლევის მეთოდოლოგია

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ადგილობრივ ვიზიტორთა ბაზრის კვლევა წარმოადგენს საქართველოს შინამეურნეობების კვლევას. აღნიშნული კვლევა ჩატარდა მთელი ქვეყნის მასშტაბით (საქართველოს რეგიონებში და დასახლებულ პუნქტებში) წინასწარ განსაზღვრული შერჩევით. მოცემული სტატისტიკური დაშვებების გათვალისწინებით (95%-იანი სანდოობის დონე, მაქსიმალური ფარდობითი ცდომილება 3-5%) შერჩევის ზომა სრულად უზრუნველყოფს რესპონდენტთა საკმარის რაოდენობას ანალიზისათვის. გარდა ამისა, აღნიშნულ შერჩევას დაემატა საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის ადგილობრივი შინამეურნეობები ტურიზმის კვლევის ფარგლებში მიღებული მონაცემთა ბაზა. საერთო შერჩევაში მიმდინარე კვარტლისთვის საქსტატის გამოკითხულ რესპონდენტთა წილი შეადგენს 40.70%.

კვლევის ფარგლებში გამოიკითხა (პირისპირ ინტერვიუს მეთოდით) საქართველოს 15 წლის და უფროსი ასაკის მოსახლეობა, რომლებმაც განახორციელეს თავიანთი ვიზიტი აჭარაში.


ძირითადი საკვლევი ინდიკატორები:

1. ტურისტების სოციო - დემოგრაფიული პროფილი
2. აჭარაში მოგზაურობის / დასვენების ძირითადი მიზანი
3. აჭარაში ვიზიტის ხანგრძლივობა
4. აჭარაში გამოყენებული საცხოვრებლის ტიპი
5. აჭარაში ჩამოსასვლელად გამოყენებული სატრანსპორტო საშუალებები
6. ვიზიტის განმავლობაში გაწეული დანახარჯი (დანახარჯების კატეგორიების მიხედვით)
7. ინფორმაციის წყაროები აჭარის ტურისტული ადგილების შესახებ
8. ტურისტთა კმაყოფილება აჭარაში ვიზიტით და სხვა

კვლევის შედეგები


აჭარაში განხორციელებული ვიზიტების განაწილება საქართველოს სხვადასხვა რეგიონებიდან, რაც ასევე მოიცავს რეგიონის შიდა ვიზიტებს. წარმოდგენილია ქვევით მოყვანილ დიაგრამაში.

დიაგრამა 1.



აღნიშნული კვლევის პერიოდში აჭარაში განხორციელებული ვიზიტების უმრავლესობა ტურისტულ ვიზიტს შეადგენდა (58.94%), ექსკურსიულ ვიზიტს 41.06% შეადგენს.

დიაგრამა 2.



ხოლო, საქართველოს სხვადასხვა რეგიონიდან აჭარის ქალაქებში და სოფლებში განხორციელებული ვიზიტების რაოდენობის უმეტესობა (76.37%) შეადგენს ქალაქებში და მუნიციპალურ ცენტრებში ვიზიტს. ვიზიტების რაოდენობა სოფლად მხოლოდ 23.63% შეადგენს.


15 წლის და უფროსი ასაკის, საქართველოს სხვადასხვა რეგიონიდან აჭარის ქალაქებში და მუნიციპალურ ცენტრებში განხორციელებული ვიზიტების რაოდენობის განაწილება

III კვარტალი, 2017						
ქალაქი/ მუნიციპალური ცენტრი	ბათუმი	ქობულეთი	ხულო	ქედა	ხელვაჩაური	შუახევი
ვიზიტების რ-ბა	55.04%	23.91%	3.54%	5.56%	8.61%	3.34%


ვიზიტორთა სოციო - დემოგრაფიული პროფილი

რესპოდენტის სქესი - გამოკითხულთაგან უმეტესობა (62.39 %) მამაკაცია.

დიაგრამა 3.




დიაგრამა 4.




საშუალო შედეგები

მიმდინარე კვლევის პერიოდში აჭარაში ვიზიტის ძირითადი მიზანი იყო დასვენება, გართობა, აგრეთვე მეგობრების და ნათესავების მონახულება (იხ. დიაგრამა 5,6).


დიაგრამა 5.




დიაგრამა 6.




დიაგრამა 7.



დიაგრამა 8.




დიაგრამა 9.




როგორც კვლევამ გვიჩვენა, ჩვენი ქვეყნის მოქალაქეები ძირითადად ინდივიდუალურად ან ოჯახთან/ნათესავებთან ერთად მოგზაურობდნენ.

დიაგრამა 10.




ინფორმაციის წყაროს აჭარაში ვიზიტის დროს მონახულებული ადგილების შესახებ ძირითადად წარმოადგენენ მეგობრები და ნათესავები.

დიაგრამა 11.



დიაგრამა 12.



ვიზიტის ხანგრძლივობა საშუალოდ 6.48 დამეს შეადგენდა, ხოლო გატარებული დამეების რაოდენობა სხვადასხვა საცხოვრებელი ტიპის მიხედვით იხილეთ ქვემოთ მოყვანილ ცხრილში.

ვიზიტის ხანგრძლივობა საცხოვრებელი ტიპის მიხედვით (საშუალო, ერთი ტურისტი)	
	დამეების რ-ბა
სასტუმრო	5.34
საოჯახო ტიპის სასტუმრო, "გესტჰაუსი"	6.55
ნაქირავები სახლი, ბინა, ოთახი	7.07
საკუთარი მეორე სახლი / ბინა	11.70
ნათესავის / მეგობრის ბინა	5.72
სამუშაო და დასასვენებელი ბანაკი	1.85
საავადმყოფო/სამკურნალო დაწესებულება	4.41

საერთო ჯამში ვიზიტორთა უმრავლესობა (89.77%) კმაყოფილი დარჩა რეგიონში ვიზიტით (იხ. დიაგრამა 13).

დიაგრამა 13.

